



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### აბუდელაურის ტბა

აბუდელაურის ტბა, მყინვარული (მორენული) ტბა აღმ. საქართველოში, დუშეთის მუნიციპალიტეტში.

მდებარეობს თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. როშკისწყლის მარჯვ. შენაკადის აბუდელაურის (ხევსურეთის არაგვის აუზი) სათავეში, ზ. დ. 2812 მ. ფართ. 0,035 კმ<sup>2</sup>, მაქს. სიღრმე 3,8 მ, მოცულობა 45500 მ<sup>3</sup>. საზრდოობს თოვლის, მყინვარისა და წვიმის წყლით. გამდინარეა. მაქს. დონე აქვს ზაფხულში, მინ.-ზამთარში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში (6 თვეზე მეტი) ყინულითაა დაფარული. ყინულისაგან თავისუფლდება მაისის ბოლოს.

ტბაში თევზი არ არის.

**ი. აფხაზავა**

---